

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 18

ქ.თბილისი

2020 წლის 30 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 30 ნოემბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათაუწარსადა, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმი და მოწოდებული ინფორმაცია, მატჩის კიდის მსაჯის ლ. ბიბიჩაძის ჩანაწერი მატჩის ოქმში და მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 22 ნოემბერს, რეგიონული ლიგის მატჩზე, ვანის “აიეტი“-სა და ბორჯომის „ბორჯომი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ბორჯომის „ბორჯომი“-ს მორაგბე ტარიელ ჯავახიშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.4, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 2.4 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბორჯომის „ბორჯომი“-ს მორაგბე ტ. ჯავახიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 1.2 პუნქტი და კლუბ ბორჯომის „ბორჯომს“ რეგიონულ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/